



შპს ოქლიფის სკოლის ლაბორატორიის დებულება

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. „შპს ოქლიფის სკოლის ლაბორატორიის დებულება“ (შემდეგში - დებულება) არეგულირებს შპს „ოქლიფის სკოლის“ (შემდეგში - სკოლა) სარგებლობაში არსებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის (შემდეგში - ლაბორატორია) მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების წესს.
2. დებულების მიზანია, უზრუნველყოს ლაბორატორიის ეფექტურად და უსაფრთხოდ გამოყენება.

მუხლი 2. ძირითადი პრინციპები

ლაბორატორიით სარგებლობის ძირითადი პრინციპია ლაბორატორიით სარგებლობის თანაბრად ხელმისაწვდომობა სკოლის ყველა მოსწავლისათვის.

მუხლი 3. ლაბორატორიით სარგებლობის მიზნები და ამოცანები

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია ხელს უწყობს სკოლაში საგაკვეთილო და ექსპერიმენტული მუშაობის ორგანიზებას, ქმნის პოზიტიურ სასწავლო /აკადემიურ გარემოს, ამაღლებს მოსწავლის მოტივაციას.
2. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამართული მუშაობის ძირითადი მიზანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება, კეთებით სწავლების იმპლიმენტაცია.
3. ლაბორატორიით სარგებლობის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:
 - ა) მოსწავლის დაინტერესება ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის საგნებით, ფიზიკური მოვლენის ახსნა პრაქტიკული დაკვირვების გზით, ქიმიური და ფიზიკური ექსპერიმენტების ჩატარება;
 - ბ) მოსწავლის მონაწილეობით პრობლემური ამოცანების/საკითხების გადაწყვეტა ექსპერიმენტირების გზით;
 - გ) მოსწავლის კომპეტენციების (უნარები და ცოდნა) განვითარებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება;
 - დ) მოსწავლის სამივე კატეგორიის ცოდნით უზრუნველყოფა.

მუხლი 4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიების აღჭურვილობა

1. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის და საერთო დანიშნულების) ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკური მოწყობილობით.
2. სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში წარმოდგენილია:

- ა) ფიზიკის საექსპერიმენტო ხელსაწყოები: ფიზიკური მოვლენის ამსახველი თვალსაჩინოებები;
- ბ) საჭირო ინვენტარით აღჭურვილი ქიმიის ლაბორატორიით;
- გ) ადამიანის ორგანოების მულაქებით და მრავალფეროვანი თვალსაჩინოებებით აღჭურვილი ბიოლოგიის ლაბორატორიით.

მუხლი 5. ლაბორატორიაშიით სარგებლობის ზოგადი წესი

ლაბორატორიის გამოყენებისას მოსწავლეებმა უნდა დაიცვან შემდეგი წესები:

- ა) გაუთვალისწინებელი გარემოებების პრევენციისათვის, დაუშვებელია მოსწავლემ ისარგებლოს ლაბორატორიით, მასწავლებლის მეთვალყურეობის გარეშე;
- ბ) სკოლის თითოეული მოსწავლე უნდა გაუფრთხილდეს ლაბორატორიის ინვენტარს და არ დააზიანოს იგი;
- გ) მოსწავლეს უფლება არ აქვს, ლაბორატორიაში არსებული ინვენტარი გაიგანოს ლაბორატორიიდან, პასუხისმგებელი პირის ნებართვის გარეშე.

მუხლი 6. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით სარგებლობის უსაფრთხოების ზოგადი წესები

1. ლაბორატორიის მომხმარებელი ვალდებულია გამოიყენოს სათანადო აღჭურვილობა მისი მოხმარების აღწერილობის მიხედვით.
2. გაკვეთილის მიმდინარეობისას ლაბორატორიის კარი უნდა დაიხუროს.
3. ექსპერიმენტის, ცდის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მასწავლებლის მიერ ლაბორატორიულ ამოცანაზე დაშვების მიღების შემდეგ.
4. ლაბორატორიულ ამოცანაზე დაშვების მისაღებად, მოსწავლე მასწავლებლისგან უნდა გაეცნოს ლაბორატორიული ამოცანის აღწერას და მისი შესრულების უსაფრთხო წესებს.
5. ყოველი ცდის ჩატარების დროს უნდა იქნას გამოყენებული ერთჯერდი ხელთათმანები. ხელთათმანების გადაყრა უნდა მოხდეს ცდის დასრულებისთანავე ლაბორატორიაში განთავსებულ სანაგვე ურნაში.
6. სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელმა/მოსწავლემ ხელსაწყო უნდა გამორთოს და სამუშაო ადგილი, ლაბორატორია უნდა მოაწესრიგოს.
7. დაუშვებელია ელექტრო ხელსაწყოებთან მუშაობა სველი ხელით. დიდი ტევადობის კონდენსატორებთან მუშაობისას აუცილებელია ინდივიდუალური უსაფრთხოების საშუალებების გამოყენება – დამცავი ხელთათმანი, იზოლირებული სახელურები, დამჭერები და ა.შ.
8. დაუშვებელია ელექტრო ხელსაწყოების არაიზოლირებულ მომჭერებთან დაუცველი ხელის შეხება.
9. თხევადი და მყარი სხეულების გახურებისას დაუშვებელია ჭურჭელში ზემოდან ჩახედვა.
10. დაუშვებელია ცდის ჩატარების დროს მოსწავლის ან/და მასწავლებლის მიერ ცდისათვის საჭირო მასალის თვალებთან ან პირთან ახლოს მიგანა.
11. ყოველი ცდის ჩატარების შემდეგ საჭიროა გამოყენებული ჭურჭლის გარეცხვა.

12. დაუშვებელია სპირტქურასთან ახლოს ადვილად აალებადი სხეულების (მაგ.ქალაღლი) განთავსება.
13. დაუშვებელია ცდის მსვლელობისას გაცხელებული ჭურჭლის შენახვა მის გაცივებამდე.
14. აუცილებელია მოხდეს თითოეული ინციდენტის ადეკვატური შეფასება, დაწესდეს ზედამხედველობა.
15. ცდის ჩატარებისას, თუ რომელიმე ნივთიერება შემთხვევით კანზე მოხვდება მოსწავლეს ან/და მასწავლებელს, აუცილებლად უნდა მოხდეს საპნიანი წყლით დამუშავება და სკოლის ექიმთან/ექთანთან კონსულტაციის გავლა.
16. ლაბორატორიაში დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები.
17. მინის საგნების გაგვხვის შემთხვევაში აუცილებელია სასწრაფოდ გასუფთავდეს ლაბორატორია მინის ნარჩენებისაგან.
18. სამუშაო მონაში აკრძალულია საკვებისა და სასმელის მიღება, პირადი ნივთების შენახვა.
19. ლაბორატორია უნდა იყოს სუფთა და მოწესრიგებული. დაუშვებელია ცდის ჩატარების დროს მაგიდაზე განთავსებული იყოს სხვა სახის ნივთიერებები, რომელიც ცდისათვის არ გამოიყენება.
20. სამუშაოს შესრულების შემდეგ ლაბორატორიიდან გასვლის წინ მოსწავლე ვალდებულია დაიბანოს ხელი.
21. ინფორმაცია უბედური შემთხვევის ან აშკარა პოტენციური დაზიანების/საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სკოლის დირექტორს ან საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელ პირს.
22. ლაბორატორიაში აღჭურვილობის დაზიანების შემთხვევაში მშობელი ვალდებულია სკოლას აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს გამოწვეულია ექსპერიმენტის(ცდის) ჩატარებით.

მუხლი 7. სკოლის ლაბორატორიის ხელმძღვანელი

1. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას ხელმძღვანელობს ქიმიის მასწავლებელი რომელიც ვალდებულია წინამდებარე წესი გააცნოს ლაბორატორიის თითოეულ მომხმარებელს.
2. ლაბორატორიის ხელმძღვანელის ფუნქციებია:
 - ა) უზრუნველყოს სკოლის ლაბორატორიის მოვლა-პატრონობა; ბ) დაიცვას უსაფრთხოების წესები;
 - გ) კომპეტენციის ფარგლებში თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს სკოლაში სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროცესების, ლაბორატორიული კვლევების ნორმალურად წარმართვას;
 - დ) კოორდინირებული სასწავლო პროცესის დანერგვისა და განხორციელების მიზნით განახორციელოს ლაბორატორიის კონტროლი. მასწავლებლებთან შეთანხმებით შეადგინოს ლაბორატორიაში მუშაობის გრაფიკი, დაგეგმოს სასწავლო-ლაბორატორიული სამუშაოები;
 - ე) მასწავლებლებთან შეთანხმებით უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მომზადება ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად;
 - ვ) კომპეტენციის ფარგლებში შეასრულოს სკოლის დირექტორის სხვა დავალებები.

მუხლი 8. მოსწავლის/მასწავლებლის პასუხისმგებლობა

1. მასწავლებელი/მოსწავლე ვალდებულია დაიცვას ლაბორატორიით სარგებლობის წესები;
2. ლაბორატორიით სარგებლობის წესების დარღვევისათვის მასწავლებელს/მოსწავლეს შეიძლება დაეკისროს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობა.

მუხლი 9. ლაბორატორიით სარგებლობის წესის მიღება და მასში ცვლილების შეგანა

1. სკოლის ლაბორატორიით სარგებლობის წესს შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი.
2. სკოლის ლაბორატორიით სარგებლობის წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეგანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.